ბორჯომი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

3 მაისი
პარასკევი
2024 წელი
№18 (9332)
ფასი 40 თეთრი

სააღდგომო მილოცვები

გილოცავთ და გლოცავთ



ისტორიული თორის მიწაწყლის შვილებს!

მახარებს ბორჯომელების წინსვლა ყველა სფეროში.

სასიხარულოა ისიც, რომ ხელისუფლება მხარში უდგას დედა-ეკლესიას, თვალნათლივ დაადგა ტრადიციულ ღირებულებების გზას და მტკიცედ იცავს დიდი ილიას მოწოდებას „მამული, ენა, სარწმუნოება“-ს

ქრისტესმიერი სიყვარულით აღვსილი გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

იხარეთ ორსავ სოფელსა შინა.

თქვენთვის მლოცველი
მიტროპოლიტი **დანიელი**

ბესიკ ამირანაშვილი

სახელმწიფო რწმუნებული
სამცხე-ჯავახეთის მხარეში

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ყველა მართლმადიდებელს, განსაკუთრებით ჩვენი რეგიონის მოქალაქეებს, მათ ვინც დღეს აღნიშნავს ამ უმნიშვნელოვანეს დღეს, გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ეს უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული უკავშირდება სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე, სიცოცხლის ზეიმს სიკვდილზე და უკეთესი მომავლის რწმენას.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს - სიკეთის, სინათლის და სიცოცხლის სიმბოლოს, იმედს, რომ ყველა გამოწვევას მალე დავძლევთ ერთსულოვნებით, ჩვენი ოჯახებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ანტონ ობოლაშვილი

ახალციხე-ადიგენი-ასპინძა-ბორჯომის

მაჟორიტარი დეპუტატი

ქრისტე აღსდგა!

დღეს მართმადიდებელ ქრისტიანთა სამყარო ქრისტიანთა შორის უდიდეს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს!

ქრისტეს აღდგომა საყოველთაო განახლების, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაულია.

ჩემო თანამემამულენო, ძვირფასო ბორჯომლებო მინდა მთელი გულით მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი დღე. მინდა ვუსურვო თითოეულ მოქალაქეს ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

ჩვენი ქვეყანა იმსახურებს მშვიდობას. დაე, ჩვენი რელიგიისა და ტრადიციების სიმყარით, ღირსებით გვევლოს ევროპული მომავლისკენ.

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

ქრისტე აღდგა!

ძვირფასო ბორჯომელებო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!

თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ეს ყველაზე დიდი დღესასწაულია. სიხარულისა და იმედის მომტანი დღე - სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სულიერი ამაღლების დღესასწაული”.

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

წმინდა სამოციქულო მართმადიდებელი ეკლესია ქრისტიანული სამყაროს უმთავრეს მოვლენას - იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაულს ზეიმობს. ყველა მართმადიდებელი ქრისტიანისთვის ეს დღესასწაული უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ყველაზე დიდი სიხარულისა და იმედის მომტანი დღე, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებისა და საყოველთაო განახლების დღე.

ჩვენ, ქართველებს, აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გვაქვს და ღრმად მწამს, რომ ეს ფასეულობა საუკუნეებს გაუძლებს.

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ზეიმით, მშვიდობა და კეთილდღეობა დამკვიდრებულიყოს ჩვენს ოჯახებში, მთელ ქვეყანაში, კეთილი იმედების გამართლებას ჩვენი ქალაქისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ სიკეთის, სიხარულის, იმედის უდიდეს დღესასწაულს. მშვიდობასა და კეთილდღეობას გისურვებთ.

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

ღირსებით - ევროპისაკენ

ჩვენ ბედნიერ მომავალს გაუმარჯოს!

29 აპრილს, თბილისში გაიმართა საყოველთაო-სახალხო შეკრება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სრულიად საქართველოს რეგიონების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

მშვიდობიანი აქცია მიეძღვნა უკანასკნელ ხანს საქართველოში ოპოზიციური და დესტრუქციული ძალების მხრიდან გაჩაღებულ უარგუმენტო, უსაფუძვლო და ცილისმწამებლურ ბრალდებების გაქარწყლებას. საყოველთაო-სახალხო შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ,,ქართული ოცნების“ ლიდერები **კახი კალაძე, მამუკა მდინარაძე,** პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი,** საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე,** ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებმაც დაგმეს ოპოზიციური ძალების და ევროპარლამენტის წარმომადგენლების სიძულვილის ენა და ურთიერთმიუღებელი ბრალდებები, რომელიც ანგრევს და აქარწყლებს ერთიან ქართულ ცნობიერებას და უარყოფენ აღიარებულ მოწოდებას - **„მამული, ენა, სარწმუნოება“.**

ყურადღება გამახვილდა მართლმადიდებლური რწმენისადმი აბუჩად აგდებულ დამოკიდებულებაზე, რაც დედა-ეკლესიისადმი გამოჩენილი უპასუხისმგებლობაა რადიკალური ოპოზიციური პარტიებისა და ლიბერალური ორგანიზაციების მხრიდან.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა პარტია ,,ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა.**

ვრცლად წერილებს საყოველთაო-სახალხო შეკრებაზე საზოგადოების წარმომადგენლების გამოთქმული წინადადებების, შეხედულებების და დასკვნების შესახებ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღე

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ან უბარალოდ აღდგომა - უძველესი და უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. აღდგომას უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა. ქრისტიანთათვის ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც სინედრიონის ნებით ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ IV საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ეს შუალედი ხვდება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე. შესაბამისად, აღდგომა მოძრავი დღესასწაულების კატეგორიას განეკუთვნება.

ქართული ენციკლოპედიის თანახმად, აღდგომის ზეიმი, უძველეს მესაქონლეთა და შემდეგ მიწათმოქმედთა

საგაზაფხულო, საყოველთაო განახლების დღესასწაულია, რომელიც უშორესი ძირებით წარმართულ რელიგიებს უნდა უკავშირდებოდეს, სადაც ის ბუნების კვდომას და აღდგომას განასახიერებს.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

საგანმანათლებლო კვირეული ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიაში

ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიაში, მიტროპოლიტ დანიელის ლოცვა-კურთხევით, თემაზე ,,”სამშობლოს სიყვარული ქართულ ლიტერატურაში”“ საგანმანათლებლო კვირეული იმართება.

კვირეულის ფარგლებში შეხვედრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი**, მოადგილეები **დავით ვარდიაშვილი** და **შოთა როსტიაშვილი**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები.

კონფერენცია პატრიარქის 45/90 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

აღდგომა

უფალმა შეგქმნა მამაკაცად, პირველ ადამად,
და შეცდომილი დაკარგულს მას შემდეგ ეძებ!
მოწყალე ღმერთი შენი მწარე სინანულისთვის
ისევ ხელს გიწვდის, მისი თავი ეგებ ჰპოვო.
შენც აპატიე ევას, ის ხომ ნეკნია შენი,
პატრონობ, უვლი და მისკენ შენგან ზღვა
სითბო მოდის,
გადმოყოლილი ეგ ნაზი სევდა, თვალებში
რომ გაქვს,
ანარეკლია, სიმძიმეა წინაპრის ცოდვის.
უფალმა მაინც შეგიწყალა უძღები შვილი,
განუგეშა და შენი ცოდვები ჯვარზე შემჭვალა,
სამოთხის კარი გაგიღო, რომ იქ შესვლა შეძლო,
ვალში ხარ მასთან, რადგან შენთვის ევნო, ეწამა.
და მოუყვაბი საუკუნეებს ღვთის შვილის მზერით,
გვერდზე მოგყვება ეშმაკი, გიტევს მთელი ძალუით,
არ შეცდე, უფალს ნუ დაჰკარგავ კვლავ, და ადიდე,
ყოველ წამს ლოცვით, სანთელ-საკმევლის
წვით, აალებით.
რა სიმშვიდეა შენს თვალებში, ეა სიალაღე,
თუ გადაგვარჩენს ეს სიწმინდე და ეგ სიმშვიდე,
ღმერთი გიყვარდეს ისე, როგორც მას შენ უყვარხარ,
არ მიატოვო, აჰყევი ცისკენ მიმავალ კიბეს.
იცოდე ბოროტ ზღაპარშიც, ცხადშიც, კეთილი სჯაბნის,
შენში იმდენი სიკეთეა, თვითონ არ იცი,
ვიცი აღსდგები, თვით უფალი ინებებს ამას,
რადგან ღვთის სათნოდ ცოდვას ნანობ, სწუხ და განიცდი.
ცოტაც იბრძილე, ცოტაც ითმინე გულდარდიანო,
შენ ახვალ ზეცად, ღმერთთან იქნები ადამიანო!

ოლიკო ლომიძე.

სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღე

(გაგრძელება)

აღდგომა, როგორც საქართველოში, ასევე მთელ ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღვნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას. აღდგომის დღესასწაულს მრავალფეროვანი ტრადიციები უკავშირდება და მათი გარკვეული ნაწილი დღემდე შემორჩენილია. სააღდგომო წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებში შედის: კვერცხის შეღებვა, გართობა-თამაშები, საფლავზე გასვლა, ნათლიების მიერ ნათლულებისთვის მილოცვა.

წარსულ დროში ერთ-ერთი გამორჩეულ რიტუალს წარმოადგენდა ჭონაობა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. ჭონა სააღდგომო შემოვლითი რიტუალია, რომელსაც დიდ ხუთშაბათს ან დიდ შაბათს, საღამოს, ასრულებდნენ. სოფელში რამდენიმე კაცი ერთად იკრიბებოდა, თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და ლოცავდა - მეჭონეები საჭონაო საგალობლით ქრისტეს აღდგომას ულოცავდნენ ხალხს. მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა ჭონაზე მისულთ, ასაჩუქრებდნენ, ოჯახს დაალოცვინებდნენ და მხიარულად ისტუმრებდნენ.

ამ რიტუალს გლეხებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საგალობლების კარგად შესრულებას ისინი ბარაქიან წელიწადს და სურვილების აღსრულებას უკავშირებდნენ.

აღდგომის სადღესასწაულო რიტუალები დასავლეთსა და აღმოსავლეთში არ გამოირჩევა მკვეთრი განსხვავებებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, თითოეულ კუთხეს თავისი უნიკალური წეს-ჩვეულებები ოდითგანვე აქვს.

ქართულ მართლმადიდებლურ საეკლესიო ლიტერატურაში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „აღვსება“. იგი ორიგინალური ძველი ქართული ტერმინია და, უპირატესად, პასქალიონში გამოიყენება. სიტყვა აღვსება ებრაულიდან მომდინარე ტერმინ პასექის ზედმიწევნითი შესატყვისია და ბერძნულ პასხას და სომხურ ზატიკს შეესაბამება. „უძველეს იადგარში“ აღვსება აღდგომის საგალობლებში გვხვდება, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, მისი როგორც ტერმინის სიძველეს.

ძირითადად ტერმინი აღვსება ჰომილეტიკურ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში გამოიყენება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აქ მას ორგვარი მნიშვნელობა აქვს და ყოველთვის აღდგომის დღესასწაულით არ გაიგივება. ამის შესახებ საინტერესო განმარტებას ვხვდებით ე. ჭელიძის კომენტარში, რომელიც მას დართული აქვს „წმინდა მონამე შუშანიკის მარტვილობის“ ერთი კონკრეტული ადგილის განმარტებისას. კერძოდ, ჰაგიოგრეფიულ ტექსტში ნათქვამია, რომ ვარსქენმა შუშანიკი გვემა აღვსების ორშაბათს: „მეორედ გუემა? მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკისა, დღესა ორშაბათსა“. ე. ჭელიძე აღნიშნავს, რომ ტერმინი „აღვსება“ ორმნიშვნელოვანია: „1) იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს ციკლს, დღეების გარკვეულ მონაკვეთს, ჩვეულებრივ შვიდეულს (ზოგჯერ შვიდეულებს), ამ აზრით, ტერმინი აღვსება იმიჯნება აღდგომისაგან. 2) მეორე მხრივ, აღნიშნავს ხსენებული ციკლის (ჩვეულებრივ, შვიდეულის) დამაგვირგვინებელ კონკრეტულ დღეს, კვირიაკეს, კვირა დღეს, როდესაც აღდგა უფალი. ამ შინაარსით აღვსება და აღდგომა იდენტურია“. ე. ჭელიძის აზრით შუშანიკის წამებაში მოხსენიებული აღვსების ორშაბათი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ვნების შვიდეულის ორშაბათად, ისე აღდგომის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათად.

ტერმინ „აღვსების“ შინაარსობრივი განმარტება კ. კეკელიძის აზრით დაკავშირებული უნდა იყოს დიდიმარხვის დასრულებასთან. მეცნიერის თქმით: „აღდგომით სრულდება, აღივსება პერიოდი 49 დღის მარხვა-სინანულისა, რომელიც მას წინ უძღვის“.

6 მაისს გიორგობაა

მართლმადიდებელი ეკლესია 6 მაისს წმინდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს.

წმინდა საკვირველთმოქმედი და ძლევაშემოსილი გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და იგი საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

წმინდა გიორგი კაბადოკიელის კულტი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. მას არამარტო მართლმადიდებლები, არამედ ყველა მიმართულების ქრისტიანული აღმსარებლობის მორწმუნეები კათოლიკეები, პროტესტანტები, გრიგორიანელები, მონოფიზიტები სცემენ თაყვანს. წმინდანის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში - ყურანშიცმოიპოვება.

ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს - წმიდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს - მისი ბორბალზე წამების დღეს, დღესასწაულობს.

წმიდა დიდმოწამე გიორგის მეოხებით ღმერთმა გაძლიეროს სრულიად საქართველო!

აქტიურობა ერის წინსვლის საწინდარია

საყოველთაო აღიარებული ჭეშმარიტებაა, ქართული გვარების შეკავშირება ხელს უწყობს ერის გამრავლება-გაძლიერებას, რამდენადაც მრავალრიცხოვანია გვარი, მობილიზებული და საამშობლოს გულანთებული პატრიოტებით იქნება მისი შემადგენლობა დაკომპლექტებული, მით უფრო მალე ძივაღწევთ სანუკვარ ოცნებას, - ქვეყნის გაერთიანებას ერის შეკავშირება-შედუღაბებას, მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, მაშინ შეგვეძლება პასუხი გავცეთ მოძალებულ მტერს, რომელიც არასდროს გვაკლდა და არც ამჯერად გვაკლია.

სწორედ ქართული გვარების ერთიანობისკენ მოგვიწოდებს საქართველოს პატრიარქი ილია მეორე, გვასწავლის და შეგვახსენებს როგორ გვიყვარდეს ერთმანეთი, საამშობლო და დედა-ეკლესია. ამ მამულიშვილური ჭეშმარიტებისაკენ გვმოძღვრავს და ყველაფერს აკეთებს ერის გაერთიანებისათვის და სრულყოფისათვის.

პატრიარქის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რომელსაც დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით უდგას სათავეში ბატონი ირაკლი ბრეგვაძე.

დარბაზის მიერ შემუშავებულ პერსპექტიულ გეგმაში კონკრეტულადაა გაწერილი ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია კიდევ უფრო სრულყოფილია ქართული გვარების შეკავშირების, მემკვიდრეობითობის, ისტორიის და იდენტობის დაცვენა-განვითარება.

გვარების წინამძღოლები უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ენთუზიაზმით, სიყვარულით და ნამდვილად პატრიოტული სულისკვეთებით ასრულებენ მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს, რისთვისაც ისინი დასაფასებელი ადამიანები არიან და იმსახურებენ საზოგადოებისაგან პატივისცემას.

ქართული გვარების წინაშე არსებულ მრავალრიცხოვან პრობლემურ საკითხებზე იყო გამახვილებული ყურადღება ამ რამდენიმე დღის წინათ სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის ყრილობაზე, რომელზეც შეჯამდა განვლილი სამი წლის მანძილზე განხორციელებული ღონისძიებები.

მომხსენებელმა, გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი ბრეგვაძემ** ვრცლად ისაუბრა გვარების მიერ მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით შესრულებულ ღონისძიებებზე და ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემებზე.

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემა ,,ხუთისოფელი“, სადაც გვარების წინამძღოლები ერთგვარ ანგარიშს აბარებენ მაყურებელს გაწეული საქმიანობის თაობაზე. გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ სისტემატიურად იბეჭდება ქართული გვარების ისტორიები, სამების ტაძარში აღევლინება ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა საპატრიარქოსთან გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის ურთიერთობა. დადებითად შეფასდა პატრიარქის იუბილესთან დაკავშირებული მადლიერების გრაგნილის დამზადება, რომელსაც ხელს ანერენ გვარების წინამძღოლები, გრაგნილი დაცული იქნება საპატრიარქოს არქივში. სისტემატიური ხასიათი მიიღო პატრიარქის ანგელოზის დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ, ასევე პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ყოველ წელს „კვირაცხოვლობის“ აღსანიშნავად იმართება შეკვეთილი ლოცვა საქართველოს გვარების წინაპრების სახელზე.

დიდი და შრომატევადი მუშაობა მიმდინარეობს წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის მიერ გვარებში მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებისათვის საგვარეულო ტაძრების, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციისათვის, მოსახლეობაში ეროვნულ-პატრიოტული, ტრადიციული სულისკვეთების ახალგაზრდობაში გაღვივება-განმტკიცებისათვის, გვარში სახელოვანი პიროვნებების ნარმოჩენისათვის, გვარების ისტორიული და მეცნიერული კვლევებისათვის, სოციალური პროექტების განხორციელებისათვის და სხვა.

დარბაზის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს დახმარება აღმოუჩინოს პატრიარქის მიერ დალოცვილ გვარებს, გვარის ისტორიის შექმნა-ძიებაში, საგვარეულო ხატის, დროშისა და სიმბოლოების შედგენაში, წარმატებულ ახალგაზრდების პროფესიის დაუფლებასა და დასაქმებაში. გვარების წინამძღოლთა გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გვარების ისტორიის შესწავლას. მრავალმა გვარმა წარმატებით შეისწავლა საკუთარი გვარის ისტორია და შესანიშნავი წიგნებიც გამოსცა. გვარების ისტორიის შესწავლაში დიდი წვლილი შეაქვს ბატონებს **ლევან ბერაიას** და **ვალერიან ხიმშიაშვილს**, დარბაზს ყავს ხატმწერი - **გიორგი ბაქაიძე**, კარგა ხანია რაც დაიწერა გვარების საკუთარი ჰიმნი, რომლის ავტორია დარბაზის თანათავმჯდომარე, კომპოზიტორი ბატონი **ჯემალ ადამაშვილი.** დარბაზის სასიკეთოდ უნდა ითქვას ისიც, რომ თბილისში, კერძოდ, ბაგებში მშენებარე ეკლესიის გუმბათზე აღმართული ჯვარი დარბაზის წინამძღოლთა შეგროვილი თანხით იქნა შეძენილი და დამონტაჟებული. დარბაზის გამგეობა უშურველად ეწევა დახმარებას მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა შეივსო ენერგიული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებით. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს **ვახტანგ აბულაძე, გოგიტა მელიქიძე და ზაზა ქარცივაძე**. საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **შოთა ზედგინიძე**, ახალციხის რაბათის აღდგენაში აქტიური ნვლილისათვის დაჯილდოვდა თემურ აბულაძე, გვარების კვლევაში აქტიური მუშაობისათვის სიგელი გადაეცა **ვალერიან ხიმშიაშვილს**. სასიხარულოა ისიც, რომ დარბაზში ჩამოყალიბდა მრჩეველთა საბჭო, სადაც გაერთიანდნენ საქართველოში კარგად ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებები: **დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, თენგიზ მაისურაძე, ვაჟა ბერიძე, იუზა ტყემალაძე, რეზო ბარამიძე და დავით ოხოფრიშვილი.** სამუშაო ჯგუფებში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები, არქიტექტორები, ბიზნესმენები, მწერლები, პოეტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

დაბადების 65 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ქველმოქმედი და მეცენატი, სატელევიზიო გადაცემა ,,ხუთისოფლის“ ავტორი, წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი ბრეგვაძე.**

გვარების წინამძღოლთა დარბაზი აპოლიტიკური ორგანიზაციაა, საქმიანობა ძირითადად მიმართულია გვარების წევრთა სულიერების განმტკიცებისაკენ. გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის უპირველესი საზრუნავია გვარების გამთლიანება-შეკავშირება, ეკლესია-მონასტრებში, საღვთო მსახურებაში მრევლის აქტიური მონაწილეობა, რათა არ მოვნყდეთ ისტორიულ ფესვებს, გვახსოვდეს და მტკიცედ ვიცავდეთ ერის იდენტობას, განვამტკიცებდეთ დედა ეკლესიისადმი პატივისცემას, შთამომავლობას ვუზრდიდეთ სულიერად, ზნეობრივად სრულყოფილ ახალგაზრდებს, რათა არ დაიკარგოს ერის მამის ილიას თქმული შეგონება **,,ენა, მამული, სარწმუნოება“**. სხორედ ეს მოწოდებაა გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის უპირველესი საზრუნავი.

ყრილობაზე ბევრი საგულისხმო წინადადება ითქვა მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით. ხაზგასმით აღინიშნა, **- ჩვენთვის მიუღებელია ის აურზაური და თავდასხმები საპატრიარქოსა და პატრიარქისადმი, რომელიც ამ ბოლო დროს თითქმის მოდაში შემოვიდა. გვარების წინამძღოლთა დარბაზი ემიჯნება ისეთ მკრეხელურ გამონათქვამებს, რომლებიც გვესმის ოპოზიციური პარტიების ლიდერებისგან და ცალკეული ტელეეთერებიდან.**

საგვარეულო წინამძღოლთა დარბაზისათვის ტაძარი ჩვენი რწმენის, სიმყარისა და სულიერი სიძლიერის ცენტრია და ვერავითარი ანტიქრისტე, ლიბერალი თუ საზღვარგარეთის ანტიქრისტიანულად მოქმედი პროვოკატორი და მოსყიდული პიროვნება ქართველ კაცს ვერ შეაცვლევინებს ქრისტიანულ რწმენას, ეს უნდა ახსოვდეს ყველას.

გვარების წინამძღოლთა დარბაზის ყრილობის დელეგატებმა შეიმუშავეს მუშაობის შემდგომი გააქტიურების ვრცელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საპატრიარქოსა და ქვეყნის ხელისუფლებისადმი ერთსულოვან მხარდაჭერას.

ვალერიან ლომიძე.
გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

გავუფრთხილდეთ თითოეული უბნის მოგონებებს...

ჩარხისწყალი ჩვენი ქალაქის შემადგენელი ნაწილია, სამწუხაროდ, არც მეტი არ ნაკლები – ამერიკული გეტოს მსგავსი დასახლებაა ბორჯომში. გადახვალ ჩარხისწყლის ხიდზე და... ხიდის იქით უკიდურესად სევდისმომგვრელ პარალელურ რეალობას წააწყდები... თითქოს სხვაგან ხარ, სხვა ადგილას და არა შენი მშობლიური ქალაქის ერთ-ერთ უბანში... მინდა, ახლა, მის პრობლემებში შეგახედოთ და თქვენც დაგაფიქროთ... არადა, წარსულში ბორჯომად ეს უბანი ითვლებოდა, ხოლო ცენტრალური ნაწილი ბორჯომ-პარკად იწოდებოდა. რა ხანია არ ვყოფილვარ ჩარხისწყალზე, ანუ მუშათა უბანში, იმ დღეს ფეხით მომიწია გავლა და გული რაღაცნაირად მომეწურა... ეს ისტორიული უბანი ჯერ კიდევ მიუხედავი, განუვითარებელი და დაკნინებულია. საბჭოთა პერიოდის კვალი – გაუკეთებელი, მოუვლელობის სახით შემორჩა და ახლებურ ტრანსფორმაციას აქ ვერსად შენიშნავთ. რატომაა ასე უყურადღებოდ ეს უბანი?!.. წარსულის გარეშე ხომ ულარიბესია ადამიანთა ცნობიერება. და რა ხდება მაშინ, როდესაც წარსულს ვანადგურებთ? – მოგონებებს ვკარგავთ და მასთან ერთად საკუთარ თავსაც, რადგან მოგონებების გარეშე „მე“ არ არსებობს. ქალაქის შემთხვევაშიც ასეა.

საქართველო ჩვენთვის ბორჯომიდან იწყება, იმიტომ რომ ეს ადგილი პირველი ადამიანივით იყო ჩვენთვის, ამ ადგილმა შეგვძინა ყველა აუცილებელი თვისება, დაგვანახა სიყვარული, გაგვზარდა ადამიანებად. არსად არავის არავისთვის ისეთი სიკეთე არ გაუკეთებია, როგორიც ჩვენს ქალაქს ჩვენთვის... ეს ხომ ერთგვარი საიდუმლოა, რომელსაც მხოლოდ ნამდვილი მეგობრები ინახავენ. ჰო! ჩვენი მეგობარია ჩვენი ქალაქი, ჩვენი მესაიდუმლე.

ასე გამოიყურება ისტორიული ორთქმავალი

ქუჩები, უბნები, ხეები, ჩიხები, კედლები, კლდეები, რომლებთანაც ბევრი გვისაუბრია, რომლებთან ერთადაც გვივლია და მათაც ჩვენთან ერთად გადაუტანიათ ჩვენი სატკივარი, - გაუზიარებიათ ჩვენი სიხარული... ეს ქალაქი ინახავს თითოეულის მახსოვრობას, როგორც ჩვენ ვინახავთ მისას... ჩვენი ისტორიული უბნებიც ხომ ამ ქალაქის მოგონებებია, შენობები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები კი - მათი არქივი.

თვალწარმტაც ჩვენი „ბორჯომის ხეობის“ სილამაზესა და სიკეთეზე ბევრიც თქმულა, ბევრიც დაწერილა, ბოლო პერიოდში ბევრი სიახლეც დაგვტყობია, თუმცა „მოუვლელი ბორჯომის“ სერიებიდან ეს უბანი პირველია რიგითობაში, რომელსაც ახლა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავყვები და დაგანახებთ.

ხიდზე გადასულს შემოგეფეთება ეულად დარჩენილი რკინიგზის სადგური, რომელიც კარგა ხანია უფუნქციოა. ერთ-ერთი პირველი და ერთადერთი ვიწროლიანდაგიანი ხაზი საქართველოში, აწ უკვე დაობლებული, თავისივე გრძელი მოსაცდელი ბაქანით, ნაგვის ნარჩენებიანი ფონით...

რკინიგზა ბორჯომში ხომ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. 1897 წ. რომანოვებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ბორჯომიდან ბაკურიანის მიმართულებითაც გაეყვანათ სარგინიგზო ხაზი. ჩარხისწყალზე, ანუ მუშათა უბანში 1902 წელს ,,კუკუშკის“ პირველი მატარებელი გამოჩნდა. 1967 წელს ეს ორთქლმავალი ელმავალმა შეცვალა, ხოლო ,,კუკუშკის“ ყველაზე ძველი მოდელის ორთქმავალი სამუზეუმო ექსპონატის სტატუსით დგას პიედსტალზე, რომელიც დღემდე ხეობის სიმბოლოდ ითვლება...

ამავე შენობაში სამედიცინო ლაბორატორია იყო, ახლა სურსათის მაღაზიას დაუდია ბინა. მგზავრთა მოსაცდელი კი გაუქმებულია.

მანამდე კი, რკინიგზის სადგურის გვერდით ბაზრის უშველებელ შენობას წააწყდები, დიდი ცარიელი ეზოთი და ისიც უფუნქციო. ამხელა ფართი შიგნითაც აუთვისებელი და თითქმის ცარიელია, აქა-იქა დახლზე ჩამოწყობილ ხილში მოწყენილ სმაილებს ამოიკითხავთ, გამყიდველ-გამომტყველებიანად. გაუყვები ქუჩას, გასცდები ბაზრის ტერიტორიას და ხელმარჯვნივ რკინის მიჭეჭყილ მოაჯირს დაინახავ, ადგილობრივები რომ წუხან, - უშედეგოდ ვითხოვთ ახალ მოაჯირსო. მარცხნივ ხის ნახევრად წაქცეულ ღობეს მიეტაკებით, მეჩხერი კბილებივით გადაზნექილ-გადატეხილს, ჰა-ჰა, ჩაჩოქოს ბოლომდე ,,მაგდანას ლურჯასავით“ და დანებდეს? კიდევ ცოტახანს იჭიდაოს გამძლეობაზე?! ეს ღობე ყოფილი საბავშვო ბაღის (დიდი ხნის გამოკეტილის) დარაჯია. განა რა ფინანსები დაჭირდება მის მოშლასა და ახალი ღობის გავლებას?!.. ისეც ვიწრო, საცალფეხო ბილიკს მანდვე, ეს ღობე კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის... ეს ქუჩა ძალიან შემეცოდა... მერე ირონიულად გამკრა მეჩხერმა ღიმილმა და თვალმა მის ჩაყოლებასა თუ მოპირდაპირედ ერთი-ორი მესაკუთრის მიერ მიტოვებული სახლი და ფართი გამოაკონტურა.

უპატრონოდ მიტოვებული ღობე

ქალაქის დამახინჯებული იერსახისა და ანტისანიტარიის მიუხედავად, შეუძლებელია რაიმე სახის სანქციები დაუწესონ და მეპატრონეს მოთხოვონ ტერიტორიის მოვლა.

და აი, მივადექით ისტორიულ ორთქლმავალს, 122 წლის წინ პირველი მგზავრები რომ გადაიყვანა. ეს საყვარელი სამუზეუმო ორთქლმავალი გადასაღებია, პლატფორმის კედლები ალაგ-ალაგ ჩამოშლილი და შესალესია, ზედაპირი მოსაპირკეთებელი, კვარცხლბეკის არე-მარეც მოუწყობელია, ღამით ჩაბნელებულია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი უნდა გადავარჩინოთ.

ისტორიული ძეგლები, ნაგებობები და არქიტექტურა უდიდეს ღირებულებას ანიჭებს ჩვენს დიდსა თუ პატარა ქალაქებს. როგორც კი ადამიანმა ერთი ქვა მეორეზე დადო, მას შემდეგ იცის, რომ აუცილებელია წინაპართა ღვაწლის პატივისცემა. ამ პატივისცემას დაცვა სჭირდება, როგორც არქიტექტურაში, ისე ფერწერაში, ქანდაკებასა და არქეოლოგიაში. და თავად ის ფაქტი, რომ დღეს, აღნიშნული პატივისცემის დაცვა თავგამოდებით გვიწევს, პირველ ყოვლისა, უფრო თანამედროვე განვითარების დესტრუქციულობაზე მიგვანიშნებს და არა სიძველეთა აკვიატების ახალ მიმდინარეობაზე. კულტურული მემკვიდრეობის წარმატებულად დაცვას მთელს ქალაქში სამწუხაროდ, ვერ ვხედავ... ვერც ამ უბანში...

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ქალაქში ვიხილეთ ბევრი წარუმატებელი ბიზნეს-წამოწყება თუ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს წამოწყება-შეჩერება და ამით კულტურული გარემოს ვიზუალური მთლიანობის რღვევა... ერთ-ერთი ასეთი ობიექტია ყოფილი წისქვილქარხნის ელევატორი, რომელიც გამოშიგნულია და ეს ათსართულიანი შენობა როდის ჩამოიშლება არავინ იცის, რომლის სიღრმეშიც ალბათ, ქვეწარმავლებთან და მღრნელებთან ერთად მოჩვენებებიც სახლობენ (ეს ხუმრობით) თავად უსიცოცხლოს

დანაგვიანებული მგზავრთა მოსაცდელი

გავაგრძელოთ გზა და მივადგებით სამშენებლო მაღაზიას, რომლის გვერდითა სიღრმეში ჯართის მიმღები პუნქტია, საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია. რა უნდა აქ ჯართს?!.. მის ჩაყოლებაზე ცალკე დიდი ფართია ეკალ-ბარდებ-გადავლილი, გაბურძგნული მთლად, არაფერს რომ არ ჰგავს... არადა, აქ მშვენიერი გამწვანებული სკვერი მოეწყობოდა. ამ ადგილის მოპირდაპირედ საფეხმავლო მონაკვეთია, რომლის სავალი ნაწილის იქითა ადგილის გალამაზებაც შესაძლებელია ფართო გაზონებით, ყვავილების საწოლებით, დეკორატიული ნაწილითა და ქუჩის ლამაზი განათებებით.

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად უნდა შეირჩეს კრიტერიუმი, რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას, განაშენიანებას და ახალი ფუნქციებით დატვირთვას. შესაძლებელია რაიმე სპორტული, გასართობი კომპლექსისა ან ღირებული და სახასიათო შენობების აგება. ტერიტორიების ჯანსაღი განვითარებისათვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაც აუცილებელია.

თანამედროვე გარემოში რეკრეაციული სივრცეების განვითარება-გამრავალფეროვნება მოსახლეობის ჯანმრთელობის, ფიზიკური და პიროვნული განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რაც უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში, თავისთავად გულისხმობს საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ უბანში საერთოდ არ შექმნილა მწვანე სივრცეები.

გავუყვეთ ამ გზასაც და... როგორც ყველა გზა - „ეს გზაც ტაძრამდე მიგვიყვანს“. ტაძრის მოპირდაპირედ ყოფილი შუშის ქარხნის უზარმაზარი ტერიტორიაა, ამჟამინდელი ტრაილერთსადგომი, რომელიც ავტო-სასაფლაოს უფრო წააგავს, მესაფლავე რომ მიატოვებს... აქ, ნორმალური პარკინგი ხომ ფუფუნებაა. მძღოლებს არანაირი ხელშეწყობა და პირობები არ აქვთ, არც სასტუმრო-მოსასვენებელი, არც კაფე ან სწრაფი კვების ობიექტი - წასახემსებელი. არადა ჩარხისწყლიდან იწყება ბაკურიანში მიმავალი გზა და ამ საავტომობილო გზაზე დადიან უცხოელი ტურისტები, ზამთარში მოთხილამურეები. ფაქტია, ჩარხისწყალს მეტი გულისხმიერება ესაჭიროება, მერე რა, რომ მუშათა უბანია, მით უფრო ესაჭიროება ყურადღება ამ ვრცელ ტერიტორიას!

ელევატორი დანგრევის პირასაა

ამის უკანა დასახლების შიდა სივრცეში რთულად მისაგნები არ არის ბზარების მქონე დაზიანებული პატარ-პატარა ქოხმახები, რომელთა კედლები ამაოდ გადაწოლილან გამაგრების მოლოდინში.

ამგვარად, ფრაგმენტულად მოვიარეთ უბანი, რომელიც საკუთარ იდენტობასაც კარგავს, მოუვლელობაც ყლაპავს და არანაირი სიახლეც არ ჩანს. ჩემ დანახულ წუხილსა და ამოთქმულში გაზვიადებული არაფერია. ეს დაკვირვებაა, რომელიც ასევდიანებს ჩემნაირსაც, ამ უბნელსაც და ჩამოსულსაც, ყველას, ვისაც ბორჯომი უყვარს.

დაზიანებული მოაჯირი

ჩვენი ქალაქი ხომ ისეთი მგრძნობიარეა, ყველა ადამიანს იცნობს და ყველა ადამიანის ესმის. ახლა დროა ჩვენც გავუგოთ, მოვუაროთ, ვუწამლოთ, მივხედოთ, ხელი შემოვხვიოთ და ვუჩურჩულოთ, რომ სულ აქ ვართ, მასთან,.. რომ პირობას ვდებთ - მყუდროებასა და ნაძვნარის სუნს ვერავინ წაართმევს, ჩვენ ვიქნებით მისი დარაჯი, თავად კი ყველა მოგონება შემოგვინახოს.

ჩემი მიზანია, ნარჩევი გზების ძიება კონსტრუქციული ალტერნატივების შესაქმნელად, რომ ვიხსნათ უბანი განწირულობისაგან. ჩვენ ხომ ძალიან იშვიათად ან თითქმის არასდროს გვეძლევა არჩევანის საშუალება პროგრესსა და ძველის შენარჩუნების, ადამიანებსა და შენობებს შორის, ცოცხალ სათემო მემკვიდრეობასა და მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე მუზეუმ-ქალაქებს შორის.

ძველი შენობები და ქუჩები, რომლებიც კარგად არის მოვლილი და ერგება დღევანდელ ახალ მოთხოვნებს მნიშვნელოვნად ზრდის ცხოვრების ხარისხს. მოდით, უფრო გავამდიდროთ გარემო არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ წარსულში შექმნილი ფასეულობებით.

ნანა ქევლიშვილი

6 მაისი მიცვალებულთა მოხსენიების დღეა!

თანამშრომლებში დარჩენილი ხსოვნა

გაზეთ „ბორჯომის“ გამოშვებაში წლების განმავლობაში უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი სამ შესანიშნავ ქალბატონს, რომლებიც დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან: **იზო ნამგალაძე, ლუიზა კურტანიძე, იზაბელა სანიკიძე.** 6 აპრილი ხომ მიცვალებულთა ხსოვნის დღეა, ამიტომ „არდავიწყება მოყვრისა აროდეს მოგვცემს ზიანსა“.

15 წლის წინ, ჯერ ქალბატონმა იზომ დატოვა ამიერი, 5 წლის შემდეგ ლუიზამ, ხოლო იზაბელა 3 წლის წინ გამოგვემშვიდობა. მათთან ერთად გვაქვს გამოვლილი ის გაჭირვებები, რაც რედაქციამ გამოიარა, არც ერთი არ თაკილობდა იმ საქმის შესრულებას, რაც მათ არ ევალებოდა. იზო თავისი ლამაზი იუმორით გვიხალისებდა დაღლილებს, ლუიზა ომახიანი შეძახილებით გვამხნევებდა. ორივე კორექტურაზე მუშაობდა რუსულ და ქართულ ტექსტებს ბრწყინვალედ უძღვებოდნენ, მიუხედავად იმისა, ორივეს რუსული განათლება ქონდა მიღებული. მთელი დღე ჩაჰკირკიტებდნენ გაზეთს, რომ რაიმე შეცდომა არ გაპარვოდათ. იზაბელა კი კრიტიკული წერილების უბადლო შემსრულებელი იყო, მისი გამოქვეყნებული სტატიები აცოცხლებდა გაზეთის ფურცლებს.

ისინი მარადისობაში გადავიდნენ, ხსოვნა, უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაგვიტოვეს, რომელიც არასოდეს არ დაგვავიწყდება.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ ჩვენო დაუვიწყარო ქალბატონებო.

ნათელა იჩქიტიძე

მარად ჭაბუკად დარჩა...

ახალგაზრდის გარდაცვალება ხომ იმას ნიშნავს, წელიწადის დროებიდან, ერთი რომელიმე მათგანი ამოიღო და მართლაც ასეა. მე რომ მკითხონ, წელიწადის დროებიდან შემოდგომას ამოვიღებდი, რადგანაც ის ჩემთვის, ყველაზე დიდ ტკივილს უკავშირდება, **ვანიკო მელიქიძის** გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს. 8 სექტემბერი ჩვენი ოჯახისთვის, სრულიად ახალი ცხოვრების დაწყების დროა. დრო, რომელიც მეთხუთმეტე წელია უშენოდ გადის. შენთვისაც, 21 წლის ბიჭისთვისაც ახალი ცხოვრების დასაწყისად უნდა ქცულიყო, თუმცა საბედისწერო დღემ, ტყეში მოჭრილი ხის მსხვერპლი გაგხადა და ჩვენთვისაც იქიდან დაიწყო სევდითა და მოგონებებით აღსავსე დღეები. ჩემთვის მიუხედავად იმისა, რომ საუფლო დღესასწაულებს შორის აღდგომა ერთ-ერთი გამორჩულია, ყველაზე მეტად სევდის მომგვრელია აგერ უკვე თხუთმეტი წელია. ძნელად გასავლელია გზა, სახლიდან შენ სამუდამო განსასვენებლამდე.

ყველაზე მეტად საკუთარი დაბადების დღე (14 სექტემბერი) გიყვარდა, რომელსაც განსაკუთრებულად ელოდებოდი ყოველ წელს. შენი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები გეხვივნენ გარს და შენი გული მხოლოდ მათით ხარობდა. საოცრად სათნოს და უზომოდ კეთილს, შენსავით საუკეთესო მეგობრები გყავდა და დღეს, როდესაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, როდესაც შენ მეგობრებს ვხვდები, თვალებით გეძებ, მგონია, რომ შენც სადღაც მათ გვერდით ხარ და სადაცაა გამოჩდები. მახსოვს, შენ საუკეთესო მეგობარს, თანაკლასელს პირველი შვილი რომ შეეძინა, როგორი გახარებული იყავი. ღმერთო, როგორ გიყვარდა ყველა ბავშვი, ნაცნობისაც, უცნობისაც.

შვილის დაკარგვაზე საშინელი ტანჯვა ხომ არ არსებობს ამქვეყნად. შვილმკვდარი მშობლები ხომ ყველაზე დამწუხრებულები არიან, მათზე საუბარიც ხომ ზედმეტია, მაგრამ პირადად ჩემთვის, ყველაზე ძლიერი მშობლების მაგალითი არიან შენი მშობლები - გურამი და ირმა, რომლებიც საკუთარ ტკივილს თავს არასდროს არ მოგახვევენ. ყველაზე მეტად დედაშენის ნათქვამი სიტყვები ჩამრჩა გულში - ,,მე ყოველი დღის გათენება მიხარია, რადგანაც ის უფრო მეტად მაახლოვებს ვანიკოსთან შესახვედრადო“. ამ სიტყვებით მართლაც ყველაფერია ნათქვამი. მჯერა იცი, რომ დღეს შენი ერთადერთი დის, ხატიას დანიელი იზრდება შენ სახლში. დანიელი განსაკუთრებული, ზღვისფერთვალება, ნათელი ბიჭია. ის ბებოს თვალისჩინია.

არ ვიცი, სხვებს როგორ ჰგონიათ, მაგრამ მე პირადად მჯერა, რომ ადამიანის გარდაცვალებით არაფერიც არ მთავრდება და რომ სადღაც, არსებობს მეორე სამყარო, სადაც ის მარადიულ სიცოცხლეს აგრძელებს და რომ, ყველაზე ახლობელ ადამიანებს სიკვდილიც ვერ აშორებს ერთმანეთს. არსებობს უხილავი ძაფები,რაც მხოლოდ მათ შორის არსებობს და ისიც, მხოლოდ უფალმა უწყის. ალბათ სწორედ ამ უხილავი ძაფების დამსახურებაა, ყველაზე მეტად რაღაც რომ უნდა გამიჭირდეს მაშინ რომ მოდიხარ სიზმრად. იცი? გამოგიტყდები და მე, შენამდე ძალიან მეშინოდა სიკვდილის, თუმცა მას შემდეგ, რაც შენ წახვედი, სიკვდილის აღარ მეშინია. მიყვარხარ და უზომოდ მენატრები.

იხსენებს ბიძაშვილი ნაპო მელიქიძე

სიკეთისა და ცოდნის კვალი დატოვეს

ახლოვდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ამ დიდებულ დღესთან დაკავშირებით გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით მინდა გავიხსენო ჩემი დაუვიწყარი პედაგოგები კორტანეთის რვაწლიანი სკოლიდან, რომლებმაც ჩამინერგეს სწავლისა და შრომის ფასი და სიყვარული. ისინი იყვნენ ზნეობრივად მაღალი კულტურის, ურთიერთპატივისცემის სიყვარულის და ღირსების მქონე ადამიანები, მათგან მარტო საგნები არ გვისწავლია, ჯანსაღი ცხოვრების მაგალითები იყვნენ, ჩემი და ჩემი დედმამიშვილებისათვის.

არასდროს გვავიწყდება ჩვენი საყვარელი პედაგოგები: სკოლის დირექტორები ალიოშა ლომიძე, და ლუბა ღონღაძე, ქალი, რომელიც კორტანეთის ხიდის მშენებლობაზე ვაჟკაცურად ედგა მხარში მშენებლებს და ეხმარებოდა მუშებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ქალბატონი ჟენია კაპანაძე - პირველი და განუმეორებელი მასწავლებელი, ილია გელაშვილი - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სავა სევასტოვი და გივი მძინარიშვილი - რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. მათი დამსახურებაა, რომ რუსული ენის გრამატიკა ისეთ დონეზე ვიცოდი, რომ თავისუფლად შევძელი, პარალელურად ქართული სექტორისა, რუსურ სექტორზეც ურთულესი საგნის სტენოგრაფიის სწავლება. დიდი მადლობა მათ! დაუვიწყარია შესანიშნავი პედაგოგების: გიორგი გოგოლაძის, იასონ კურტანიძის, გუგული ბლიაძის, ვალია გელაშვილის, თამარ ელისაშვილის, მიხეილ ქვრივიშვილის ჩატარებული გაკეთებულები და მოსწავლეებთან ურთიერთობა.

ეს პედაგოგები იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც დატოვეს კვალი ნათელი. მარადიული ხსოვნა მათ! სახელებს ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს ღირსეულ პიროვნებებს, რომლებმაც სიკეთისა და ცოდნის კვალი დატოვეს ჩვენს გულებში.

მათი ნამოწაფარი ლიანა ლომიძე.

უფალი მეფობს

უფალი მეფობს და ღვთის დიდება,
თვით სამართალი მართალთა შემწე,
გმირობის გარდა სიბრძნე გვჭირდება,
და ტყუილ-მართლის გარჩევას შესძლებ,
უფალი მეფობს და მით სატანა,
ჩვენი ტაძრების ნგრევას ვერ შეძლებს!
ისევ რიგდება იუდას ვერცხლი...
შემართულია ჩახმახი ფეხზე!

მალვინა მუკბანიანი.

ივერთა ნათლის მამას – ილია მეორეს

არსის საყდრისა მსახურო, სიტყვისა სახიერისა,
ცოცხალო ხატო და სახევ, უფლისა მშვენიერისა,
ნათლის მამაო ივერთა ამიერ-იმიერისა,
ცხოვართა მწყემსო კეთილო, მოძღვართ-მოძღვარო ერისა,
სიბრძნის და ჭეშმარიტების ნიადაგ მოქადაგეო.
ქრისტეს მართლმადიდებლობის საგალობელო ბაგეო,
ნეტავ ვინ მოსთვლის, რამდენგზის მადლის ქვა ქვაზე დადეო,
შენს უძღვებ შვილებს უშრომლად წყალობა გვიწილადეო,
შენა ხარ წმინდა ბარძიმი საღრმრთო სახმილით სავსეო,
რომელი საიდუმლოდა ქერუბიმთ მიემსგავსეო,
თუმც დნები - მაინც ანთიხარ, სამკვეთლოს თაფლის სანთელო,
ჩვენ საზრდოდ გვაძლევ გოლეულს - თვით ნაღველს იღებ მწარესო,
ღვინის მწდევ, პურისუფალო, იესომც გაგახარებსო,
ღვთივ შეწირულო ზვარაკო, ერთი ათასჯერ დაგკლესო,
ხელით უბრალოვ, გულითა - თოვლივით უსპეტაკესო,
ცის კარზე მზეს ჩამოჰგავხარ, მწუხარედ სავსე მთვარესო,
სამარადჟამოდ გეცოცხლოს - მამაო, უნეტარესო!..

იოსებ ხოხონიშვილი
დეკანოზი.

კვალი ნათელი დაუვიწყარია

ეს უნიკალური ფოტოსურათი სხვა უნიკალურ სურათებთან ერთად ჩვენი რედაქციის არქივში ინახება. შესაძლოა ბორჯომელ ახალგაზრდებს არ ახსოვდეთ ბორჯომის წინაშე დიდი დამსახურების მქონე პიროვნებები, მაგრამ არა მგონია, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებმა ვერ გაიხსენონ ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც ნამდვილად გამოირჩეოდნენ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, მშობლიური ქალაქისადმი და ბორჯომელებისადმი მზრუნველობით. ბატონები მიხეილ თვაური და როინ ბოლქვაძე კურორტოლოგიის მეცნიერების შესანიშნავი წარმომადგენლები გახლდნენ და არაერთი ავადმყოფი ყავდათ გადარჩენილი, გარდა ამისა ბორჯომის დიდი გულშემატკივრობი იყვნენ, სურათზე (შუაში) სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეურნე პიროვნება კარლო ღონღაძეა, ყველგან სადაც იმუშავა, შესანიშნავ წარმატებებს აღწევდა. ეს ადამიანები თავიანთ პროფესიასთან ერთად გამორჩეულად პატიოსანი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი, მრავალი სასიკეთო ინიციატივის წამომწყებნი და შემსრულებელნი იყვნენ. ვაგლახ, რომ ისინი დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან. ახლა, როცა საქართველოში აღინიშნება მიცვალებულთა მოხსენიების დღე, გვინდა დიდი სიყვარულით პატივი მივაგოთ ამ შესანიშნავ პიროვნებებს, რომლებმაც კეთილი კვალი დატოვეს ბორჯომელთა ხსოვნაში.

ვალერიან ლომიძე.

რატომ არ არიან სასაფლაოზე საფოსტო ყუთები?!..

სევდა დაბუდებულა ნაზამთრალევ ხეებზე... როგორ შეხამებიან ერთურთს გამომშრალი ხეები და სასაფლაო... მივაბიჯებ და მოგონებებს ვისრუტავ, უკან მომყვება მწუხარება მარმარილოს ლოდებისა...

ბავშვობიდანვე ვერ ვიტანდი აქაურობას... ზოგი ბავშვისთვის თუ ჩვეულებრივი ტრადიცია იყო, ჩემთვის - მორიგი სიკვდილი, რომელიც სხვა ყველა ცოცხალ ხმას ახშობდა ჩემს ირგვლივ... და დავდიოდი მერე მთელი დღის განმავლობაში აჩრდილებაყოლებული და... სიზმრის სამეფოშიც გადაინაცვლებდა ფორიაქი სულისა... იქ გაიგრძელებდა თავის თავს სიკვდილი და ჩემი უსუსურობაც მასთან ერთად გაგრძელდებოდა...

არა! სიკვდილი იმათთვის კი არ არსებობს, ვინც მოკვდა, არამედ იმათთვის, ვინც დარჩა... ის გიკლავს უმნიშვნელოვანეს ნაწილს და მკერდში ლოდად აქცევს... მაგრამ ხანგამოშვებით ამ ლოდს მარილიანი ცრემლები სდის... ჰოო... სდის და გტკენს... გტკენს ყოველჯერზე მეტად და მეტად...

.მენატრები და მაკლიხარ, ჩემო განსხვავებულო, სპეტაკო... რაც შენ წახვედი, მას შემდეგ ვეძებ შენნაირს, მსგავსს და ვერსად აღმოვაჩინე, ვერ გადავაწყდი... მატყუარა ყოფილა ეს გზაც, რომელსაც არ მოვყავარ შენამდე...

მა... 9 წელი გადაგორდა უკვე, რაც... გარდაიცვალე, "ფერი იცვალე"...

რა გითხრა, აბა, მაა... ძალიან რომ გვაკლიხარ და გვენატრები, კი გრძნობ ალბათ ...მანდედან"... რიგ სიტუაციებში გაუსაძლისი რომაა უშენობა, მგასაც იგრძნობ, ვიცი...

მაა... ჩემო ნათელო და გულწრფელო ადამიანო,.. ჰოო! არ ვაჭარბებ, ზუსტადაც ეგეთი იყავი, ვინც გიცნობდა, იციან მათ... მამია,.. ყველაზე ტკბილია შენი "დაბზრიალებული" თვალები ახლა ჩემთვის (ნინი ამბობდა ასე, პატარა რომ იყო და როგორ ვიცინოდით ხოლმე მერე)... და როგორ აღარ შემიძლია დავინახო და ჩავიხედო მათში ახლა... შენნაირი სუფთა, სტერილური ადამიანი არ მეგულება მეორე ამ ცისქვეშეთში... საოცარი ადამიანი იყავი - კეთილზე კეთილი, ბავშვივით გულუბრყვილო... არანაირი ცუდის წარმოდგენა რომ არ გქონდა ცხოვრებაში და... თუ რამე ისეთზე დავიწყებდით საუბარს, ეგრეევე ყურებში გაირჭობდი თითებს, რომ... არ გაგეგო, არ მოგესმინა, - შენი სუფთა სული არ გაძლევდა ცუდი ინფორმაციის გაგონებას, იმიტომ რომ მერე... გულის კენ უნდა გაგეტარებინა და ძალიან გეტკინებოდა (გული ხომ უფაქიზესი გქონდა)... ასე იცავდი საკუთარ თავს ყველანაირი ნეგატივისგან...

მამი, ბოლოს,.. სულ ბოლოს,.. ძალიან რომ გაგიჭირდა და სულ იწექი, ტელეეკრანიდან რომ გესმოდა, გიკვირდა, - რამდენი სიბოროტე ყოფილა დედამიწაზეო და ვიშვიშებდი.

იმ დღეს, მე და დედიკო ამოვედით შენთან,.. გვიღიმოდი თბილად, შენებურად,.. "თბილი" ქვიდან,.. ჰოო,.. საფლავის ცივი ქვის ასოციაციაც კი დამანგრევინე შენ, მაამ... არადა, ადრე სულ მეშინოდა სასაფლაოზე ამოსვლის,.. ბავშვობიდანვე... მზარავდა ქვების სიცივე... სხვა ბავშვები თუ რაღაცნაირად ახერხებდნენ გართობას, მე ერთი სული მქონდა, როდის მორჩებოდნენ უფროსები „ლრეობას“ და როდის დავტოვებდით იქაურობას... მაგრამ ახლა პირველად იყო, რომ... შიშს დავეტოვებინე მთლიანად... და მამიი, ისე მომინდა წამოვკოტრიალებულიყავი,.. წამოგწოლოდი,.. მანდვე,... შენთან,.. მინაც ისეთი რბილი იყო,.. რაღაცნაირად რბილი,.. სულ ხელით გისწორე, მაა...

და... ხმამაღლა ვიტყვი, - მე ამაყი ვარ,.. ამაყი, რომ ასეთი მამის შვილი ვარ... გამოგიტყდები და... როცა ძალიან გამიჭირდება ხოლმე,.. როცა გაუსაძლისი ხდება ცხოვრება, მივეგდები ხოლმე შენს საწოლზე, მოვიკუნტები,.. მოვიკუნტები და... მეტირება... მეტირება ისე, როგორც ბავშვობაში... და არავინ არ მხედავს მაგ დროს...

ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა, მამი!!!

შენი ხსოვნა მარადიული იქნება და... არ დაგვტოვებს არანაირად, ვიდრე ცოცხლები ვართ...

და აი, ახლაც მივაბიჯებ სასაფლაოზე... შენი სახე დავლანდე მარმარილოზე... აქა ხარ - გავიფიქრე და... მწარე სინამდვილემ შემზარა... სასაფლაოზე მინდოდა წერილის დადება, გადავიფიქრე... დავხიე მერე... წერილის ნაფლეთები მოაბნია ქარმა ღობის შიგნით...

იქიდან წამოსულს ამ კვიპატა რატომღაც კითხვა: რატომ არ არიან სასაფლაოზე საფოსტო ყუთები?!..

ნანა ქევლიშვილი
მამას მონატრებული შვილი.

ეკრანდამოკიდებული თაობა!

აქტუალურ და ჩვენი დროის ყველაზე რთულ, ამავე დროს მნიშვნელოვან თემაზე მინდა დავწერო. ეკრანდამოკიდებულ თაობაზე, მასთან ბრძოლაც, ყოველდღიურად, ჩვენი ყოფის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს გლობალური პრობლემაა და ეხება, როგორც ბორჯომს, ისე ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ ადამიანს, რომელსაც აქვს ინტერნეტთან წვდომის უწყვეტი შესაძლებლობა.

კვლევებზე დაყრდნობით პირდაპირ დებენ სტატისტიკას და გასცემენ რეკომენდაციებსაც, რომ სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის კატეგორიულად აკრძალულია ეკრანთან ურთიერთობა. მასში გულისხმობენ ყველა ტიპის ეკრანს, ტელევიზორს, კომპიუტერს, ტელეფონს. ადრეულ ასაკში ბავშვი არ უნდა იჯდეს ერთ ადგილზე და მხოლოდ ერთ ვიზუალურ გამაღიზიანებელს არ უნდა უყურებდეს, იგი აქტიურად უნდა შეიმეცნებდეს და იკვლევდეს სამყაროს: უნდა შეეხოს ხელით, უნდა შეიგრძნოს პირით, იგრძნოს სუნი, ბევრი იმოძრაოს და იყოს აქტიური. ასეთ შემთხვევაში ბავშვის ყველა სენსორული არხი და ყველა შეგრძნება აქტიურდება. მშობლისთვის დიდ ცდუნებას წარმოადგენს დასვას ეკრანთან შვილი, რადგან ამ დროს ბავშვი იმყოფება ჩუმად, არ სვამს შეკითხვებს, არ აკეთებს სახიფათო მოძრაობებს და სახლში სრული სიმშვიდე და წესრიგია. აქ, ორი არჩევანია, უმჯობესია ნაკლებად უარესზე გაკეთდეს არჩევანი. ბავშვის ნერვული სისტემა ეკრანთან გახშირებული ურთიერთობით ღიზიანდება და ამასთან ყალიბდება მიჯაჭვულობა. ეს შემდეგ ცალკე პრობლემად იქცევა და მოგვიანებით მისი ჩანაცვლება სასარგებლო აქტივობებით რთულდება, აღარ აინტერესებს აქტიური თამაშები, სწავლასთან დაკავშირებული აქტივობები და ეს, რა თქმა უნდა, მის მეტყველებაზეც აისახება და შემდეგ უკვე პრობლემები წერა-კითხვის ათვისების სირთულეების სახით სასკოლო გარემოში ვლინდება. ამ ფაქტს მშობლები, როგორც წესი ადრეულ ასაკში ენის ათვისების პრობლემას ნაკლებად უკავშირებენ. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, არ მივიდეთ ამ მდგომარეობამდე, როდესაც შეგვიძლია ადრეულ ეტაპზე მივიღოთ პრევენციული ზომები. აღნიშნულ საკითხზე ქალბატონ მაია სიპალაგინას ვესაუბრეთ, რომელიც გახლავთ სოციალური სამუშაოს მაგისტრი, ამასთან მიღებული აქვს პედაგოგიური განათლება, არის ბორჯომში სარეაბილიტაციო ცენტრი „ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერის“ ხელმძღვანელი.

სარეაბილიტაციო ცენტრი ,,ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა“ 2017 წელს დაარსდა და დღეს ასამდე ბავშვი სარგებლობს ცენტრის მომსახურებით. რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში მომსახურებას აწვდის რეაბილიტოლოგი, ფიზიკური თერაპევტი, ფსიქოლოგი და მეტყველების თერაპევტი. მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის პროგრამას ემსახურება ბავშვის განვითარების სპეციალისტი, სოციალური მუშაკი. დღეს, აუტისტური სინდრომის მქონე 25 ბავშვია ჩართული პროგრამაში. მათთან მიმდინარეობს, როგორც ქცევის მართვაზე ასევე მეტყველების თერაპიაზე მუდმივი ურთიერთ თანამშრომლობითი აქტივობები. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამაში კი ხაშურის მუნიციპალიტეტიდან ცენტრს 10 ბენეფიციარი ჰყავს.

- სახელმწიფოსგან ზრუნვისა და მხარდაჭერის გამოხატვაა, რომ თანდათანობით მსგავსი ცენტრები იხსნება. კვლევით იწყება ყველა სიახლე და კვლევის შემდეგ დავდექი იმ მოცემულობის წინაშე, რომ ცენტრი ჩამომეყალიბებინა, - გვითხრა ქალბატონმა მაიამ.

რა განაპირობებს ცენტრების სიმრავლეს?

- ცენტრს ძალიან ბევრი ბავშვის მშობელი მიმართავს, რომლებსაც დარღვეული აქვთ მეტყველების განვითარება და სახელმწიფო აძლევს შესაძლებლობას ადრეული განვითარების პროგრამაში ჩაერთოს 0-დან 7 წლამდე. სარეაბილიტაციო ცენტრში 0-დან 18 წლამდე მიმდინარეობს მოქალაქეთა საჭიროებიდან გამომდინარე მათი რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვა. მშობლები ხშირად მიმართავენ ბავშვებში მეტყველების განვითარების დარღვევითა და აუტიზმის სინდრომით.

- ბავშვის აღზრდის უნარ-ჩვევები და მშობლის ცნობიერება არის ძალიან დაბალი. თვითონ მშობლები უბიძგებენ ბავშვებს იყვნენ ეკრანდამოკიდებული, ძირითადად ოჯახებში 80% პროცენტთან ბავშვების კვება ხორციელდება ტელეფონის დახმარებით, აქედან გამომდინარე ჩნდება კვების დარღვევები. ბავშვი, რომელიც მიირთმევს ტელეფონის ეკრანის ყურებისას, ვერ აზროვნებს, ვერც ღეჭვას, ვერც ლუკმას ყლაპავს. წამახალისებელი, მოტივატორი გახდა ტელეფონი. გააკეთე დავალება - მიიღებ ტელეფონს, შესარულე პირობა - დაიმსახურებ ტელეფონს. არ გაჰყავთ ეზოში, არ დაჰყავთ საბავშვო ბაღში და ა.შ.

დიახ, პანდემიამ მოიტანა განვითარების ეტაპების დაყოვნების გამოწვევა, მაგრამ მაინც ძირითადი პრობლემა არის მშობლების დაბალი ცნობიერება, მოზარდის გაზარმაცება. ქცევის მართვისას თერაპიებს, რომ ამჯობინებენ წამლის მიცემას.

მშობელს მთელი დღე ტელეფონი უჭირავს ხელში. კვლევებმა აჩვენა, რომ იმ მშობლების შვილები ვერ მეტყველებენ, რომელთა მშობლებს მუდმივად ტელეფონი უჭირავს ხელში. მათ მეტყველება უგვიანდებათ, არ არის კომუნიკაცია. მშობლების დამოკიდებულება გაჯეტებზე იწვევს ბავშვების განვითარების ეტაპების დაყოვნებას, რაც მოგვიანებით აისახება მოსწავლის კოგნიტურ უნარებზე.

ქცევის მართვისას ნომერ პირველი მდგომარეობიდან გამოსვლა არის თერაპია. უმნიშვნელოვანესია სუპერვაიზერის მუშაობა, თითოეულ ბავშვთან მუშაობა მიმდინარეობს სუპერვიზიის ქვეშ. ჩვენთან მულტი გუნდის შეხვედრებზე განიხილება და დგინდება გავიდა თუ არა ბავშვი შედეგზე. ძლიერ მხარედ ვთვლი მშობლების ჩართულობას, ჩვენ არ ვმუშაობთ მხოლოდ ბავშვებთან, ჩვენ ვმუშაობთ ოჯახებთან, ჩვენ ვმუშაობთ მშობელთან, რაც ნომერ პირველ საკითხს წარმოადგენს, - გვითხრა ქალბატონმა მაიამ საუბრის დასასრულს.

პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება, როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს ვაუჩერული სისტემის დახმარებით. ამ დროისთვის ცენტრში პროგრამით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 100-მდე, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტიდან 10-მდე ბავშვი სარგებლობს.

გისურვებთ ეკრან დამოკიდებულების ჩანაცვლებას ჯანსაღი კომუნიკაციით, რაც არც თუ მარტივი დასაძლევია, როგორც მშობლისთვის, ასევე ბავშვისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიური სამუშაოდან გამომდინარე სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი თავისდა უნებურად ეკრანდამოკიდებული თაობა გავხდით. მეც ეკრან დამოკიდებული თაობა ვარ. რამდენადაც კომუნიკაცია გაადვილდა. სამუშაო ეკრანთან, კომუნიკაცია მობილურის დახმარებით, ინფორმაციის ყველაზე სწრაფად მიღების შესაძლებლობა და ა.შ. სხვა თემას წარმოადგენს გამოსხივების ავ-კარგი, ჩვენს გარშემო.

იზა იანეპარაშვილი

მშობლების ხსოვნა დაუვიწყარია

აღდგომა საუფლო დღესასწაულებს შორის ხომ ის დღესასწაულია, რომელიც ადამიანებს სიყვარულისკენ, მიმტევებლობისაკენ მოგვიწოდებს. მგონია, რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება აღნიშნული დღესასწაულისადმი იმ ადამიანებს უფრო მეტად აქვთ, ვისაც დღეს მშობლები ცოცხლები აღარ ჰყავთ. კიდევ უფრო მეტად სათუთები მგონიან პოეტები, რომლებიც საკუთარ სათქმელს სტრიქონებში გადმოსცემენ ხოლმე. საკუთარი მშობლების გახსენება ვთხოვეთ ბორჯომელთათვის საყვარელ პოეტს, ქალბატონ იზო სარქისიანს:

- აღდგომა ჩემთვის იმედის, ხელახლა შობის, დაბადების, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ყველაფერი საუკეთესოს სიმბოლოა. მიუხედავად იმისა, რომ დღე არ გავა ჩემ მშობლებზე არ ვიფიქრო, აღდგომის დღეებში კიდევ უფრო სხვანაირად მეფიქრება მათზე. მშობლების გარეშე ხომ ადამიანი ვერ იშვება. სწორედ ისინი არიან ჩვენი ცხოვრების არსიც და დედა აზრიც. განსაკუთრებულად სევდიანი ცხოვრება გაიარეს ჩემმა მშობლებმა. მამა, ლევან სარქისიანი რომელიც თითქმის ორი წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა და ობლად დარჩენილს ძმა ზრდიდა. ახალქალაქის რაიონში ცხოვრობდა. დაახლოებით 6-7 წლის ბიჭი იყო, ჭობისხევში იშვილა უშვილო წყვილმა, თუმცა ობლის მწყემსად დადგომა მოინდომეს და მამა მიყვებოდა, როგორ შიშით მიჰყავდა საქონელი საბალახოდ ჭობისხევიდან დაბაძვლისაკენ. მძიმედ იხსენებდა იმ დროს მამა, როდესაც ერთ დღეს საქონელი ვიღაცის ყანაში გადაეპარა. პატარა ბიჭი შევიდა, რომ საქონელი გამოეყვანა, თუმცა ყანის პატრონმა ნამგალი მოუქნია და თავში რომ არ მოხვედროდა, ხელი აიფარა, სამწუხაროდ, თითები გადაეჭრა. იქვე მცხოვრებმა ქალმა უწამლა, ბატის ქონითა და ობობის ქსელით მალამო დაუმზადა და თითები შეუნარჩუნა. ძმამ როდესაც გაიგო რაც დაემართა, უკან, ახალქალაქში დააბრუნა. მამა შრომობდა, მუშაობას არ თაკილობდა. 25 წლისამ შექმნა ოჯახი. მეუღლეზე 10 წლით უფროსი იყო. დედა წარმოშობით წაღვერიდან იყო. ოჯახის შექმნიდან მას მალევე გულის პრობლემები დაეწყო. მამამ მის გამო მიატოვა ჯავახეთი და წაღვერში გადმოვიდნენ, ცხოვრობდნენ ლიბანში და საბოლოოდ ცემში დამკვიდრდნდენ, სადაც მე დავიბადე. 12 დედ-მამიშვილი ვიყავით, სულ უფროსი და სამი წლისა გარდაიცვალა.. მახსოვს, იქიდან გამომდინარე, რომ მშობლებს ბევრი შვილი ყავდათ, გამოუთქვამთ ჩვენი შვილად აყვანის სურვილი, მაგრამ არასდროს დამავიყდება, მამის საშინელი რეაქცია მათ თხოვნაზე, რომ მას არ ჰყავდა სხვაზე გასაშვილებელი შვილები. მისი რეაქცია სწორედ საკუთარი განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარეობდა. მხოლოდ მამა მუშაობდა ოჯახში, დედა ჩვენი აღზრდით და მოვლით იყო დაკავებული. იმ რთულ წლებში, როდესაც ყველას უჭირდა, საკვები არ მოგვკლებია, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის ტრამვამ თითების დეფორმაცია დაუტოვა, მუშაობდა რკინიგზაში მეისრედ, ასევე მუშაობდა ,,მზიურში“. დედა ყოველთვის გვარიგებდა, რომ არასდროს მივსულიყავით სხვასთან რაიმეს სათხოვნელად, სხვის ეზოდან ჩამოვარდნილ ხილსაც კი ვერ ავიღებდით, ვიცოდით, რომ ის სხვისი იყო. თუმცა, კარგად მახსოვს, რომ თვითონ სულ გასცემდნენ. თუკი ბავშვურად რაიმეს ვიცელქებდით, ჩვენი პირველი მსაჯული მშობლები იყვნენ. საოცრად სტუმართმოყვარეები იყვნენ. არ არსებობდა მათთვის ნაცნობი თუ უცნობი. მახსოვს, ერთ დღეს, სანატორიუმ ,,განთიადში“ შვილთან დედა ჩამოვიდა სანახავად, რომელსაც მატარებელმა გაასწრო და ქუჩაში დარჩა, პედაგოგებმა, რომლებიც იქ მუშაობდნენ არ შეიფარეს, დედამ რომ გაიგო, ჩემი და გააგზავნა, მოაყვანინა, ავახშმა, საწოლი გაუშალა, ღამე გაათენებია, დილით ისევ ასაუზმა და გაისტუმრა. ეს ის მცირედი ჩამონათვალია იმ სიკეთეებისა, რაც მე ჩემი მშობლებისგან მახსოვს და მე პირადად, მათ შვილს, არც მაქვს უფლება, რომ სხვანაირი ვიყო. სულ სხვანაირად მიყვარს ადამიანები, სულ სხვანაირად მტკივა სხვისი ტკივილი. სიყვარული, პატივისცემა და სამრთლიანობა ეს ის თვისებებია, რაც მშობლებისგან გამომყვა და რომლისთვისაც მათი უზომოდ მადლიერი ვარ.

ჩაიწერა ნატო მელიქიძემ

შვილებში გაგრძელებული სიცოცხლე

გარდაცვალების შემდეგ ადამიანები, სხვა სამყაროში აგრძელებენ სიცოცხლესო. მართლმადიდებლური სარწმუნოება ამას ყოველთვის გვახსენებს და სიკეთისა და თმენისკენ მოგვიწოდებს. აღდგომაც ხომ სწორედ სიკეთის გზაზე გამარჯვების დღეა. აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულებს ვიხსენებთ, ჩვენს სითბოსა და სიყვარულს გამოვხატავთ.

ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები ჩვენს გულებში აგრძელებენ სიცოცხლეს, ეს კი დაუწერელი და უთქმელი გამოხატულებაა, მათი სიცოცხლის გაგრძელების. რამდენიმე რესპონდენტს ვთხოვე, სპეციალურად საღვთო ნომრისათვის მშობლების გახსენება. მათ თვალებსა და საუბარში ცრემლნარევი, მონატრებისა და სამყაროში ყველაზე უთბილესი მოგონება დავინახე, რომლებიც გარდაცვლილ მშობელს ან მშობლებს უკავშირდებოდა.

მომიტევოს ჩემმა რესპონდენტებმა და მკითხველებმა, თუ ჩემდაუნებურად, სევდა მოვგვარე მათ გულებს, ვეცადეთ სიტყვებით გადმოეცათ ენით უთქმელი მოგონება.

მარინე რატიანს **მშობლებზე (დავით რატიანი და ეთერ ვეფხვიაშვილი) მოგონებების გახსენებისას თვალებში ბედნიერების სხივი ჩაუდგა:**

- მამა თავგანწირული, სამშობლოზე, თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებული იყო. მან ბორჯომის რაიონში ემიგრანტის ცხოვრებით იცხოვრა და ცდილობდა, სვანეთიდან წამოსულს ყველა დადებითი თვისება შეენარჩუნებინა. იგი თავს გასწირავდა დაჩაგრული ადამიანისათვის. ის იყო საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭიდაობაში. დამთავრებული ჰქონდა 2 უმაღლესი სასწავლებელი. მკაცრი და შეუპოვარი გახლდათ.

უდიდესი სიყვარული ჰქონდა დედისადმი, ოჯახისადმი. დედა საგუნდო მუსიკის ფუძემდებელია ბორჯომის რაიონში, სწავლობდა „ნიჭიერთა ათწლედში“ და უცხოენების ინსტიტუტში. მისი სათნოება ერწყმოდა ფიზიკურობასა და სულიერებას ერთად. პატივს სცემდნენ ჩვენს შრომას და გვენდობოდნენ.

ერთ-ერთი წარმატებული კონცერტის შემდეგ მე მოვდიოდი ძალიან გახარებული და დედამ მითხრა (ადგილიც კი მახსოვს სად...): შენ სხვაზე მეტი ხომ არ გგონია თავიო, და მაშინვე დავეშვი ძირს.

სიამაყის განცდით ვივსები მშობლების გახსენებისას. მივულოცავ იმ ქვეყნად აღდგომის დღესასწაულს. მადლობა მათ მფარველობისთვის და უსაზღვრო ადამიანობისათვის.

სვეტა ხაჩიძემ - **მშობლები ვლადიმერ ტიგიშვილი და ნია ბლიაძე სევდანარევი მოგონებებით გაიხსენა:**

- მამა უაღრესად ოჯახისა და შვილების მოსიყვარულე იყო, წოდებით რაციონალიზატორი, თავადაც ამაყობდა ამ სტატუსით. 70 წელი მუშაობდა შუშის ქარხანასა და ბორჯომის №2 ჩამომსხმელ ქარხანაში. კეთილშობილებით გამოირჩეოდა გარშემომყოფების მიმართ.

დედა არაჩვეულებრივად კერავდა და ყოველთვის სახლში მოფუსფუსე მახსოვს. შვილებისადმი მუდამ მზრუნველი და ყურადღებიანი. 3 შვილისათვის 9 მთას, 9 ზღვასა და ოკეანეებსაც კი გადასცურავდა.

ტრადიციულად გვზრდიდა და მისი გახსენება ყოველთვის უდიდეს სითბოს და სიყვარულს უკავშირდება.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მივულოცავ ჩემს მშობლებს იმ ქვეყნად. მარადისობაში გარდასულები ახლაც მგონია, შვილებისთვის ლოცულობენ.

სალომე თაბუნიძემ **მამიკო (გივი თაბუნიძე) უთბილესი სიტყვებით მოიგონა.**

- ჩემო ტკბილო მამიკო, მინდა რომ მთელმა ბორჯომმა გაგიცნოს და გაიგოს ჩვენ მამაშვილურ სიყვარულზე. უსასრულოდ მიყვარხარ და მეყვარები მუდამ, მეამაყება შენი შვილი, რომ მქვია. მიჭირს ამ სიტყვების დაწერა და შენი წარსულში გახსენება. ყოველთვის გვერდით მედექი და მიდგახარ, ამას სულ ვგრძნობ, მგონია, მიყურებ და ყველა გასაჭირში ისევ ჩემთან ხარ. ძალიან მტკივა გული. ნეტავ მქონდეს იმის შესაძლებლობა, ერთხელ მაინც მოვიდე შენთან, ჩაგეხუტო და ეგ გაყინული გული გაგითბო, მაგ ბუთქუნა ლოყებზე ბევრი გაკოცო. უსასრულოდ მენატრები მა...

ნინო ხატიკვარი-ლომიძე **ლექსით „აღსარება“ დედას (ელენე ბაბიაშვილი) მფარველ ანგელოზს უტოლებს.**

აღსარება

ახლა ის დროა, როცა სუნთქვით დედას
ვეძახი,
ანგელოზები გაურბიან კედლის გალიას,
კულისებს იკლებს მიწიერი ყოფის ნატეხი,
სხეულს ეტყობა სილუეტში სულის
ვალი აქვს,
ახლა ის დროა, როცა რწმენა მარწუხებს
ანგრევს,
ცხრაკლიტურები სიცოცხლესთან ბოდიშს
იხდიან,
ძვლამდე დასული თვითშეგნების ეიფორია,
საკუთარ თავთან გადებული ნდობის ხიდია.

მოამზადა იზა იანეპარაშვილმა

მისგან სწორდება ყოველი

ოხრად დარჩეს ოქროც, ვერცხლიც,
დოლარიც და ევროცა,
ყველა მათგანს ემართება
ინფარქტიც და ნეკროზიც.
ფული ხელის ჭუჭყი არის,
უთქვამს ვიღაც სულელსა,
მაშინ, აბა, რაღა უშავთ
ბოშებსა და ქურთებს.
ფული ჯოჯოხეთს ანათებს,
ეს კი უთქვამს მართალი,
თუ ფული გაქვს, კაცად გთვლიან,
არავინა გყავს ბადალი.
სახელმწიფოც შენი არის,
მეფეცა და ვეზირიც,
ყველა თვალებში გიყურებს
მოყვარეც და მტერიც.
შენს დაკრულზე აცეკვებ
თვით უძლეველ ხელმწიფეს,
ფული გაქვს და თავს უტოლებ
ღვთის გლახაკი – მაღალ ღმერთს.
თუმცა მაინც ერთ რამეზე
ძლიერ-ძლიერ გწყდება გული,
სიკვდილს ვერაფერს უხერხებ,
ვერც ოქროთი და ვერც ფულით.
მასთან არ ჭრის არც ქრთამი და
არც ბრძანება და არც თხოვნა,
და შენც წაგიყვანს ,,ტააში“
შენი რიგი როცა მოვა.
მისგან სწორდება ყოველი,
კიდევ კარგი ასე არის,
თორემ ერთ დღეს გაწყდებოდა,
რაც უფალო ხალხი არის.

ჯემალ ბიბილური.

განსაკუთრებული დღესასწაული

სხვანაირად ახმაურდა სასაფლაოები. განა სხვა დროს არ გვახსოვს ჩვენი მიცვალებულები? გვახსოვს ყოველთვის მაგრამ ეს დღეები განსაკუთრებულია. განსაკუთრებით გვიცემს გულები ყველას და ის ღვთაებრივი რწმენა და იმედი ცრემლებამდე გვახრჩობს, ხმაათრთოლებულები ჩუმად ვღიღინებთ: „„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, და საფლავებისა შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!“ მთელი გულით ვიხსნებით ამ საოცარი სიტყვების შინაარსის მიმართ. განსაკუთრებული დღესასწაულია აღდგომა, ქრისტიანებისთვის უმთავრესი. ამიტომაცაა ხალხმრავლობა სააღდგომო წირვა-ლოცვებზე ტაძრებში, ამიტომაც გამოცოცხლდება ხოლმე სასაფლაოები. ჩამოდიან დიდი ხნის წასული შთამომავლები წინაპრების საფლავების მოსანახულებლად და საკურთხად, ჩუმად გოდებენ ძაძებში შემოსილი ქალები ახალ საფლავებთან, რომლებიც ჯერ მხოლოდ უიმედობას გრძნობენ, ფუსფუსებენ ბებია-ბაბუის საფლავებთან მადლიერი შვილიშვლები, გარინდულან ქვრივები, შვილმკვდარი დედები, ბევრი შესაშური რწმენითა და იმედით სავსენი, ძველისძველი, მიტოვებული საფლავების ქვებს ხავსი მოსდებია და სურათები მზეს და წვიმას გაუცრეცია, ახალი,სველი მიწის ბორცვები კი შემაძრწუნებლად იმზირებიან...

მაინც საოცარი სიმშვიდის შეგრძნებას ვგრძნობ აღდგომის დღეებში სასაფლაოებზე სეირნობისას. შეიძლება უცნაურად ჟღერს, მაგრამ ასეთი სეირნობებიდან დათრგუნულ ხასიათზე არასოდეს ვბრუნდები. თითქოს ბუნებრივია, რომ ადამიანი სასაფლაოზე ყოფნისას სიცოცხლის წარმავალობაზე უნდა ჩაფიქრდეს, მაგრამ არა, აქ ყოფნა წარსულში მოგზაურობას უფრო ჰგავს, აქ - ვხვდები ხალხს, ჩემს თანადაბელებს, რომლებსაც ბავშვობიდან ვიცნობდი და სამწუხაროდ, ბევრი მათგანი კარგადაც არ მახსოვს და როგორც დროის სვლას სჩვევია, მიმავიწყდა კიდევაც. საფლავებზე გამოხატული ფოტოები კი მოგონებებს მიცოცხლებს - ჩემს თვალწინ კინემატოგრაფიული სიცხადით ჩაივლის ეპიზოდები ჩემი ბავშვობიდან...

მოკრიალდა და მოკოპწიავდა საფლავები, თითქოს ისინიც მოუთმენლად ელიან აღდგომის დღესასწაულს, ქარი ალვის ხეებს აშრიალებს და ჩიტების ჟრიამულის ხმა მოაქვს - გაზაფხულია, გამოცოცხლების და აყვავების დრო, თავს იწონებენ ნარცისები და სალათისფრად აფეთქებული ხეები, გულში საოცარი სიმშვიდე ისადგურებს, თრთის სანთლების ალი - ქრისტე აღდგა!

რუსუდან სხირტლაძე



ჯვრის თავის სიმაღლე ტოლია 0,1414284285 (მემილიონედის ნაწილი) სიზუსტით

7X25,2სმ=176,4სმ.
6X25,2სმ=151,2სმ
4X25,2სმ=100,8სმ.
0,1414284285X25,2სმ=3,5639963982=3,564სმ.სიზუსტით

არსებობს ღვთაებრივი კავშირი ქართულ ენას, ქართულ დამწერლობას, ქართული დედაენის „ი“ პირველ ასოს, ღმერთ იესო ქრისტეს, ქრისტეს ჯვარის ძელების სიგრძეების, მათ ოქროს კვეთას და ქრისტეს ჯვარს შორის.

ქართული ასოები იწერებოდა ერთ სიმაღლეზე. ზოგიერთ ასოს ჰქონდა ორეული. მაგ. რ-ჩ, ო-ჲ. და ა.შ, რომლებიც იწერება ორ უჯრაში ღმერთის ხსენების დროს თავი დაბლიდან მაღლა უნდა ავწიოთ, ჯვრის ძელებზე ასოებისთვის არსებული უჯრის სიგრძე, სიგრძის ერთეულად აღებულია ერთი მტკაველის სიგრძე, რომელიც ტოლია 25,2სმ-ის, ძელების შეერთების შედეგად მივიღებთ ქრისტეს ჯვარს „ი“ ასოზე გადაკვეთით, ოქროს კვეთას. შედგება ოქროს კვეთის ტოლობა:

$$\frac{25{,}2\text{სმ}X(6+4+=0{,}1414284285...)}{25{,}2\text{სმ}X7} = \frac{25{,}2\text{სმ}X6}{25{,}2\text{სმ}(4+0{,}1414284285.)};$$

მოვახდენთ შეკვეცას და ფრჩხილებში შეკრებას, რის შედეგადაც მივიღებთ:

$$\frac{10{,}1414284285}{7} = \frac{6}{4{,}1414284285} = 1{,}4487754898 \approx 1{,}448775489$$

ეს მემილიარდებშია გამოსახული, გადავამრავლებით ათიათასებში. მიიღება =1,44878;

შენიშვნა: ეს მათემატიკური გაანგარიშება ადასტურებს, რომ ქართველი ერი ღვთის რჩეული ერია.

თუ მკითხველს მოცემული გაანგარიშება გაუგებრად მიაჩნია, გთხოვთ განმარტებისათვის დაუკავშირდეთ ამ იდეის ავტორს .

პამლეტ ლომიძე.
ტელ: 599 55 49 98.

ჯამბულ ღონღაძის ოჯახის ოჯახი იუწყება რომ გარდაიცვალა მძახალი
შალვა (შარო) სტეფნაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

საბიბლიოთეკო კვირეული მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა

აპრილი ბორჯომში არსებული ბიბლიოთეკებისთვის დატვირთული თვე იყო, მრავალმა ბიბლიოთეკამ სხვადასხვა საკითხებზე ჩაატარა თემატური საღამოები.

ვაშლოვანის ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკარმა **მაია გელაშვილმა** სიტყვით გახსნა თემატური საღამო **„ჩემი პირველი წიგნი“**, - იაკობ გოგებაშვილი - დიდი ქართველი. მოსწავლეებმა, **მარიამ ნადირაშვილმა, იაკობ ნაკაშიძემ, ალექსანდრე ოგანესიანმა და დანიელ ჯღუნიაშვილმა,** რომლებიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელთან არსებულ თეატრ-სტუდია ,,მთიების“ აღსაზრდელები არიან, პედაგოგი (**ციური გელაშვილი**) მაღალმხატვრულ დონეზე წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები. ბიბლიოთეკების ღონისძიებების კოორდინატორმა **ნანული სალაღაიამ** მოსწავლეები შეაქო და ლექსიც უძღვნა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები კმაყოფილები დავბრუნდით. გვიხარია, ასეთი პატარები რომ გვეზრდებიან.

მეორე დღეს ყვიბისის ბიბლიოთეკას ვესტუმრეთ. ბიბლიოთეკარმა **ლარისა გელაშვილმა** სიტყვით გახსნა ღონისძიება სახელწოდებით **„სიყვარულო ძალსა შენსა“**. ისაუბრა სიყვარულზე, როგორც დიად გრძნობაზე. ყვიბისის სკოლის მოსწავლეებმა, სადაც გაერთიანებული იყო რამდენიმე კლასი, ისაუბრეს ქართველ პოეტებზე, თუ როგორ უყვარდათ და ვინ იყო მათი მუზა, რომელმა პოეტმა რომელი ლექსი უძღვნა საკუთარ რჩეულს.

სიტყვა ვთხოვეთ ისტორიის პედაგოგს **ბაკურ გელაშვილს,** რომელმაც ხაზი გაუსვა ახალგაზრდების აქტიურობას, აღნიშნა რომ მას ბიბლიოთეკის სიყვარული ადრეული ბავშვობიდან მოყვება, ის სამუშაო საათების შემდეგაც კი აწუხებდა ბიბლიოთეკარს სასურველი წიგნისთვის.

ბიბლიოთეკარმა **მანანა გელაშვილმა, ნანა სალაღაიამ** მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას და ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს სიყვარულზე. დიდი მადლობა პედაგოგებს **რიმა მამასტარაშვილს, ნანა ხაჩიძეს, დალი ბლიაძეს.** ბიბლიოთეკის აქტიურ მუშაკს, **ლარისა გელაშვილს.**

ვესტუმრეთ ცემის ბიბლიოთეკასაც. ბიბლიოთეკარმა **ესმა ტაბატაძემ** შეხვედრა მოაწყო ადგილობრივ პოეტთან ქალბატონ **იზო სარქისიანთან**. შესავალი სიტყვით წარსდგა ქალბატონი **ესმა** და საკუთარი ლექსი უძღვნა საყვარელ პოეტს.

ქალბატონმა იზომ საკუთარი შემოქმედებიდან წაიკითხა ლექსები საქართველოზე, გმირებზე, სიყვარულზე. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც ბიბლიოთკის თანამშრომლები, ასევე ადგილობრივებიც.

ღონისძიების კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ივლისში პოეტი 70 წლის ხდება და სასურველია, რომ მისი კრებული ვიხილოთ. მადლობა ქალბატობ იზოს, რომელიც უმღერის ცას, მიწას, გმირებს, მადლობა სიყვარულისთვის.

ახალი უბნის ბიბლიოთეკაში IV საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგმა **ამალია კოჟორიძემ** არჩილ სულაკაურის ,,ცისფერი ირემის“ განხილვა მოაწყო. ნაწარმოები ანიმაციურ ფილმ ,,ბომბორას“ შეადარეს. როგორც ყველა ნაწარმოებში აქაც მეგობრობა იმარჯვებს.

წარმოდგენილ იქნა გმირების, მოქმედი პერსონაჟების ნახატები მოსწავლეთა შესრულებით. იყო წაკითხულის გააზრება, დასაბუთება, მსჯელობა. ბიბლიოთეკარმა **ნანა გაიხარაშვილმა** წაიკითხა საკუთარი ლექსი.

ბორჯომში საბიბლიოთეკო კვირეული შინაარსიანად აღინიშნა.

ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება.

სპორტული მოედნების რეაბილიტაცია იწყება

მიმდინარე წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 13 მინი სპორტული სტადიონის რეაბილიტაცია განხორციელდება.

სამუშაოები შემდეგ ლოკაციებზე დაიწყება:
აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ;
თორის ქუჩის მიმდებარედ;
რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ;
ნიკოლაძის ქუჩის მიმდებარედ;
ხორავას ქუჩის მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩის მიმდებარედ;
მესხეთის ქუჩა N№31-ის მიმდებარედ;
მესხეთის ქუჩა №N85-ის მიმდებარედ
ახალი უბნის მიმდებარედ
სოფელი ტიმოთესუბანი;

ყოფილი ტურბაზის ტერიტორიაზე კი ფეხბურთის მოედანი და ჩოგბურთის კორტი მოეწყობა.

წიგნი დიდი საჩუქარია



წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს გაიმართა კამპანია „„აჩუქე წიგნი“,“ რომლის ფარგლებში, ბორჯომის ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა **ნაირა ამანათაშვილმა** და გაერთიანების თანამშრომლებმა ადგილობრივებს საჩუქრად წიგნები გადასცეს.

2019 წელს, ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით, საქართველოს წიგნის დღესთან დაკავშირებით დაიწყო კამპანია ,,აჩუქე წიგნი“", რისი მიზანიც საქართველოში ზოგადად წიგნის და წიგნიერების პოპულარიზაცია გახლავთ.

ნუ მოკვდები შენს მიცვალებულთან ერთად

იცოდი, რომ შენ, შენს თავს უფრო დასტირი, ვიდრე მათ?

ტირი, რადგანაც ისინი დაკარგე, აღარ არიან ფიზიკურად შენს გვერდით.

ფიქრობ, გგვერა, რომ სიკვდილით ყველაფერი მთავრდება.

რომ მის შემდეგ აღარაფერი არსებობს.

და თუ არსებობს, სად არიან?

იქნებ, იქ უკეთესია აქაურ ყოფაზე.

და თუ გეტყვი რომ ეს ასეა.

იქაურობა უკეთესია.

მაშ, რატომ ტირი? რატომ იტანჯები მათი წასვლით?

რატომ არ გინდა დაიჯერო, რომ იქ, ის უკეთაა.

აღარ ავადმყოფობს, აღარ იტანჯება, აღარ სტკივა.

თუ შენ შეძლებ და ამას დაიჯერებ, თუ შენ ინამებ, რომ სიკვდილით ყველაფერი არ სრულდება, მაშინ შენ შეწყვეტ მათზე ჯავრს და წუხილს.

შენ ეცდები მეხსიერებაში, მხოლოდ კარგი შემოინახო.

და იცი რა?..

თუკი ის, შენ ჭეშმარიტად გიყვარდა, მაშ შეიყვარე ახლაც, ამ ფორმით, როგორაცაა.

გეთანხმები, ის აღარ არსებობს ფიზიკურად, მაგრამ დარჩა მოგონებები, გრძნობები, სიყვარული, მონატრება, პატივისცემა.

ვიცი, რომ ტირი, იტირებ კიდევ უნუგეშოდ, მწარედ.

მაგრამ დღეს მე ერთი რამ შემიძლია გითხრა

ნუ მოკვდები შენს მკვდართან ერთად.

ხანდახან, მაინც გაიხსენე რომ ჩვენ, ადამიანებს ჩვევად გვაქვს მონეტის მხოლოდ ერთი მხარის დანახვა.

არასოდეს ვუცქერთ, იმ შუქს, იმ სინათლეს, რომელიც მეორე მხარიდან მოდის.

და რა მოხდება, თუკი სიკვდილს ისე შევხედავთ, როგორც მეორედ დაბადებას?

და რომ ეს გზა ყველამ უნდა გავიაროთ.

დაფიქრდი.

კიდევ ერთხელ გაგიმეორებ

ნუ მოკვდები შენს მიცვალებულთან ერთად.

დააფასე შენს ცხოვრებაში დარჩენილი ცოცხლები, ზუსტად ისე, როგორაც მათ სურთ.

შენ კი უბრალდ გააგრძელე ცხოვრება.